საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 151 2024 წლის 26 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ), ევროპის საინვესტიციო ბანკსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის გასაფორმებელი შეთანხმების ფარგლებში გრანტის მიმღები ორგანოს განსაზღვრის შესახებ

1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ), ევროპის საინვესტიციო ბანკსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის გასაფორმებელი შეთანხმების ფარგლებში (საგრანტო დაფინანსება „საქართველოს საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში)

გათვალისწინებული გრანტის მიმღებ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

2. მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ხელი მოაწეროს საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ), ევროპის საინვესტიციო ბანკსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის გასაფორმებელ შეთანხმებას (საგრანტო დაფინანსება „საქართველოს საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში).

ირაკლი კობახიძე